


რეპრესიული კანონები და შერჩევითი
მართლმსაჯულება: გამოხატვისა და
შეკრების თავისუფლების შეზღუდვა
სასამართლო პრაქტიკაში

სასამართლო მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში



ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)



არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC) www.coalitionfortheicc.org

სარჩევი

შესავალი.....	5
I. გზებსა და ტროტუარებზე შეკრების შეზღუდვა და განმეორებითი საპროტესტო ქმედებების კრიმინალიზაცია.....	6
II. პოლიტიკური ოპონენტების სისხლისსამართლებრივი დევნა და შერჩევითი მართლმსაჯულება.....	10
III. კრიტიკული გამოხატვის შეზღუდვა საჯარო და ონლაინ სივრცეში	15
- გამოხატვის შეზღუდვა საჯარო სივრცეში.....	15
- გამოხატვის შეზღუდვა ონლაინ სივრცეში.....	16
IV. სასამართლო მონიტორინგით გამოვლენილი სისტემური პრობლემები და შერჩევითი მართლმსაჯულების ნიშნები	19
დასკვნა და რეკომენდაციები.....	21

შესავალი

ბოლო პერიოდში საქართველოში გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი გარემო არსებითად შეიცვალა. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, გაიზარდა ადმინისტრაციული ჯარიმების ოდენობა და გაფართოვდა იმ სამართალდარღვევათა წრე, რომელთა ჩადენისთვისაც შესაძლებელია ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება. ამასთან, მშვიდობიან შეკრებასთან დაკავშირებული ცალკეული ქმედებების განმეორებით ჩადენა სისხლისსამართლებრივ დანაშაულად განისაზღვრა, ხოლო საჯარო და ონლაინ სივრცეში გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები სულ უფრო ხშირად ხდება სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენის საფუძველი.

ამ საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკული გამოვლინება განსაკუთრებით ნათლად ჩანს სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგად. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ სასამართლო პროცესების მონიტორინგის ფარგლებში, ყურადღება ექცეოდა არა მხოლოდ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, არამედ ბრალდებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, დაცვის მხარის პოზიციას, სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასებას, მხარეთა პროცესუალურ შესაძლებლობებს და გამოყენებული სანქციების პროპორციულობას.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია შეფასდეს, როგორ აისახა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე ბოლო პერიოდში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები. ასევე, როგორ ხდება კანონმდებლობის ინტერპრეტაცია და აღსრულება ადმინისტრაციული ორგანოების, პროკურატურისა და სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეებში. ანგარიში გამოკვეთს სასამართლო პრაქტიკაში არსებულ ძირითად ტენდენციებს და აფასებს, ქმნის თუ არა მოქმედი სამართლებრივი პრაქტიკა შერჩევითი მართლმსაჯულების, თვითნებური აღსრულებისა და მსუსხავი ეფექტის რისკს მშვიდობიანი პროტესტისა და კრიტიკული აზრის გამოხატვასთან დაკავშირებით.

დოკუმენტში განხილულია მშვიდობიან პროტესტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრაქტიკა, მათ შორის, გზისა და ტროტუარის გადაკეტვასთან დაკავშირებული საქმეები; სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები; საჯარო და ონლაინ სივრცეში კრიტიკულ მოსაზრებებთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილებები და სხვა. შეჯამების სახით, დოკუმენტში გაანალიზებულია სასამართლო მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ტენდენციები, მათ შორის მტკიცებულებების შეფასების სტანდარტი, სანქციების პროპორციულობა და შერჩევითი მართლმსაჯულების რისკები.

I. გზებსა და ტროტუარებზე შეკრების შეზღუდვა და განმეორებითი საპროტესტო ქმედებების კრიმინალიზაცია

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების სფეროში ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ შეზღუდვას 2025 წლის 16 ოქტომბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება წარმოადგენს, რომლის შედეგადაც გარკვეული საპროტესტო ქმედებების განმეორებით ჩადენა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობიდან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში გადავიდა. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 347-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც შესაბამისი საპროტესტო ქმედებისთვის უკვე იყო ადმინისტრაციულად სახდელდადებული, იმავე ან მსგავსი ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისაჯოს, ხოლო შემდგომი განმეორებისას სასჯელი ორ წლამდე გაიზარდოს. ამგვარ მოდელს საპროტესტო ქცევა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სფეროდან სისხლის სამართლის სფეროში გადაჰყავს.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა 2025 წლის ოქტომბრის ცვლილებები პრობლემურად შეაფასა და განსაკუთრებით გააკრიტიკა განმეორებითი არაძალადობრივი საპროტესტო ქმედებების სისხლისსამართლებრივ დანაშაულად გარდაქმნა. ODIHR-ის შეფასებით, მსგავსი რეგულაციები ქმნის, ერთი მხრივ, თვითნებური თავისუფლების აღკვეთის, ხოლო, მეორე მხრივ, შეკრების თავისუფლებაზე ძლიერი მსუსხავი ეფექტის რისკებს. ამასთან, ორგანიზაციის დასკვნით, გზის გადაკეტვის ან სხვა არაძალადობრივი ქმედების განმეორების საფუძველზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება, იგივეა რაც მშვიდობიან შეკრებაში მონაწილეობისთვის მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრება.¹

ამ რეგულაციის პრაქტიკაში გამოყენების ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია **ზურა მენტეშაშვილის საქმე**. სასამართლო პროცესის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქმეში ბრალდების ძირითად მტკიცებულებას 112-ის ვიდეოკამერის ჩანაწერი წარმოადგენდა. პროკურორის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ კამერა მოვლენებს მხოლოდ ერთი კუთხიდან ასახავდა და ბრალდებული ჩანაწერში მხოლოდ რამდენიმე წუთის განმავლობაში ჩანდა, აღნიშნული საკმარისი აღმოჩნდა დასკვნისთვის, რომ იგი გზას ხელოვნურად კეტავდა. პროკურატურის მტკიცებით, აქციის მონაწილეთა რაოდენობა გზის გადაკეტვის აუცილებლობას არ ქმნიდა, ხოლო

¹ OSCE/ODIHR, *დაჩქარებული დასკვნა საქართველოს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კოდექსებში შეტანილი ცვლილებების შესახებ*, 12 ნოემბერი 2025, www.odihr.osce.org/sites/default/files/documents/official_documents/2026/02/2025-11-10_FINAL%20ODIHR%20Urgent%20Opinion%20on%20Amendments%20on%20FoPA_Georgia_%20GEORGIAN_0.pdf

ბრალდებული, როგორც მანამდე ადმინისტრაციულად სახდელდადებული პირი, განზრახ არღვევდა შეკრებისა და მანიფესტაციის წესებს. სასამართლომ მენტეშავილი და მანაშავილი ცნო და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. საჯარო წყაროების თანახმად, იგი პირველი პირი გახდა, რომელსაც აღნიშნული სისხლისსამართლებრივი რეგულაციით პატიმრობა შეეფარდა.²

მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოქალაქე გადაკეტილ გზაზე იმყოფება, არ უნდა იყოს საკმარისი იმის დასადგენად, რომ მან თავად გადაკეტა გზა, ანდა საამისოდ შექმნა ხელოვნური დაბრკოლება. მითუმეტეს, მნიშვნელოვანია მტკიცების მაღალი სტანდარტის არსებობა მაშინ, როცა საუბარია სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასა და თავისუფლების აღკვეთაზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც პირის ბრალეულობას გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში Kudrevičius and Others v. Lithuania განმარტა, რომ საჯარო სივრცეში გამართული მშვიდობიანი შეკრება შესაძლოა გარკვეულწილად აფერხებდეს ყოველდღიურ ცხოვრებას, მათ შორის სატრანსპორტო მოძრაობას, მაგრამ მხოლოდ ეს გარემოება შეკრების თავისუფლებაში ჩარევას ვერ გაამართლებს. სახელმწიფოს მოეთხოვება მშვიდობიანი შეკრების მიმართ ტოლერანტობა, ხოლო რეაგირების სიმკაცრის შეფასებისას მნიშვნელობა ენიჭება შეფერხების მასშტაბებს, ხანგრძლივობასა და სხვა გარემოებებს.³ რაზეც მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს არ უმსჯელია.

ასევე, **ლუკა მალაშხიას საქმე** აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე ეხება 2026 წლის 7 მარტს საქართველოს პარლამენტის წინ გზის გადაკეტვის ფაქტს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამტკიცებდა, რომ ლუკა მალაშხია პარლამენტთან ხელოვნურად კეტავდა გზას. თავდაპირველად უწყების წარმომადგენელი ამბობდა, რომ იგი გზაზე 20 წუთის განმავლობაში იდგა, პაექრობის ეტაპზე კი თქვა, რომ ის 10 წუთით იდგა. თავის მხრივ, დაცვის მხარე მიუთითებდა, რომ ლუკა მალაშხია პარლამენტთან სხვა მონაწილეებს ელოდებოდა მაშინ, როცა წინასწარ შეთანხმებული მარშის მსვლელობა პოლიციის თანხლებით მიმდინარეობდა. მხარეების მოსმენის შემდეგ, მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება და ლუკა მალაშხიას გამოუცხადა სიტყვიერი შენიშვნა.

მართალია, მენტეშავილისა და მალაშხიას საქმეები სამართლებრივად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ მათი შედარება აჩვენებს, რომ გზაზე პირის დაფიქსირება თავისთავად არ არის საკმარისი მისი ქმედების რეალური ხასიათის დასადგენად. როდესაც განმეორებით ჩადენილ იმავე ქმედებას უკვე შესაძლოა

² Social Justice Center, „ზურაბ მენტეშავილი პირველი პოლიტიკური პატიმარია, რომელსაც შეკრების დროს გზის გადაკეტვის კრიმინალიზების გამო მსჯავრი დაედო“, 30 მაისი 2026, www.socialjustice.org.ge/ka/products/zurab-menteshashvili-pirveli-politikuri-patimaria-romelsats-shekrebis-dros-gzis-gadaketvis-kriminalizebis-gamo-msjavri-daedo

³ European Court of Human Rights, Kudrevičius and Others v. Lithuania [GC], no. 37553/05, 15 October 2015, § 150, 155, HUDOC

თავისუფლების აღკვეთაც მოჰყვეს, სასამართლოს ეკისრება ვალდებულება, მტკიცებულებები განსაკუთრებით მაღალი სტანდარტით გამოიკვლიოს და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა მხოლოდ მკაფიო მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე დაადგინოს.

ამავე პრობლემას უკავშირდება **დიმიტრი ჯავახიშვილის** საქმეც. 2026 წლის 7 თებერვლის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მიხედვით, ჯავახიშვილი ხმის გამაძლიერებლით იდგა საავტომობილო გზაზე და პოლიციის არაერთი მოწოდების მიუხედავად, ტროტუარზე არ გადავიდა. დაცვის მხარის განმარტებით კი, მონაწილეთა დიდი რაოდენობის გამო, გზის დაუყოვნებლივ გათავისუფლება ვერ მოხერხდა და ჯავახიშვილი ხმის გამაძლიერებლით მოქალაქეებს სწორედ ტროტუარზე გადასვლისა და მოძრაობის აღდგენისკენ მოუწოდებდა. ამის მიუხედავად, მოსამართლე მანუჩარ ცაცუამ დიმიტრი ჯავახიშვილი სამართალდამრღვევად ცნო და 5 000 ლარის ჯარიმა დააკისრა. ეს საქმე პრობლემურია როგორც გზის განზრახ გადაკეტვის დამადასტურებელი მტკიცებულებების ნაკლებობის, ისე დაცვის უფლების შეზღუდვისა და შშმ პირის მიმართ გამოვლენილი სტერეოტიპული დამოკიდებულების თვალსაზრისით. კერძოდ, მოსამართლემ ჯავახიშვილის შშმ სტატუსის საფუძველზე მისი ქმედუნარიანობის საკითხი დააყენა და ფსიქიატრიული ექსპერტიზა დანიშნა, მიუხედავად იმისა, რომ თავად ჯავახიშვილი ექსპერტიზის ჩატარების წინააღმდეგი იყო.

პროტესტის სივრცის კიდევ უფრო შევიწროებას უკავშირდება ტროტუარზე გადაადგილების შეფერხების ბრალდებით წარმოებული საქმეები. მაგალითად, 2026 წლის 19 მაისს **ნანუკა ჟორჟოლიანს** სამი დღით ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა იმ საფუძველით, რომ იგი ტროტუარზე მოქალაქეთა თავისუფალ გადაადგილებას აფერხებდა. დაცვის მხარის განმარტებით, შსს-ს მიერ წარმოდგენილი ვიდეომასალით ჟორჟოლიანი სადავო მონაკვეთში მხოლოდ მცირე ხნით იმყოფებოდა და მოქალაქეებს გადაადგილებისკენ მოუწოდებდა.⁴

საპროტესტო ქმედებების სისხლისსამართლებრივ სფეროში გადატანის ტენდენცია მხოლოდ გზის გადაკეტვის შემთხვევებით არ შემოიფარგლება. ამის კიდევ ერთი მაგალითია აქტივისტ **ისაკო დევიძის საქმე**, რომელსაც ბრალად ედებათ როგორც სასამართლოს მიმართ უპატივცემულობა, ისე პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი განმეორებითი დაუმორჩილებლობა. მედიის ინფორმაციით, დაუმორჩილებლობა მისთვის მესამე ასეთი შემთხვევა იყო, რის გამოც ქმედება უკვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი გახდა.⁵ საბოლოოდ, დევიძესა და პროკურატურას შორის საპროცესო შეთანხმება გაფორმდა და მას ორივე ბრალდებისთვის ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მისი საქმე კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ განმეორებითი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის

⁴ Batumelebi/Netgazeti, „ნანუკა ჟორჟოლიანს ტროტუარზე დგომის გამო 3-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს“, 19 მაისი 2026, <https://batumelebi.netgazeti.ge/news/617095/>

⁵ Civil Georgia, „აქტივისტ ისაკო დევიძეს საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ერთწლიანი პატიმრობა მიესაჯა და ექვს თვეში გათავისუფლდება“, 13 ივლისი 2026, <https://civil.ge/ka/archives/744442/>

გამოყენება პრაქტიკაში საპროტესტო ქცევის სხვადასხვა ფორმას მოიცავს და მნიშვნელოვნად ამკაცრებს სახელმწიფოს რეაგირებას საპროტესტო აქტივობაზე.

განხილული საქმეები აჩვენებს, რომ გზისა და ტროტუარის გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვების პრაქტიკაში აღსრულება მნიშვნელოვან ჩარევას იწვევს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებაში. განსაკუთრებით პრობლემურია შემთხვევები, როდესაც სათანადოდ არ ფასდება პირის ინდივიდუალური ქმედება, მისი განზრახვა, მოძრაობის შეფერხების ხანგრძლივობა და რეალური მასშტაბი, მაშინ როდესაც სანქციის სახით გამოიყენება მაღალი ჯარიმა, ადმინისტრაციული პატიმრობა ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამასთან, განმეორებითი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სისხლისსამართლებრივ სფეროში გადატანა კიდევ უფრო ზრდის მშვიდობიან პროტესტში მონაწილეობის სამართლებრივ რისკებს. შესაბამისად, იზრდება რისკი, რომ სახელმწიფო რეაგირება გასცდეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზანს და საპროტესტო აქტივობის შეზღუდვისა და დასჯის მექანიზმად იქცეს.

II. პოლიტიკური ოპონენტების სისხლისსამართლებრივი დევნა და შერჩევითი მართლმსაჯულება

ოპოზიციური პოლიტიკოსების მიმართ სისხლის სამართლის გამოყენება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. მართალია, პირის პოლიტიკური სტატუსი თავისთავად ვერ იქნება დევნის პოლიტიკური მოტივაციის დამადასტურებელი ფაქტორი, მაგრამ საქმის აღძვრის დრო, ბრალის ფორმულირება, წარმოდგენილი მტკიცებულებების ხარისხი და სასამართლოს დამოკიდებულება შესაძლოა შერჩევითი მართლმსაჯულების მნიშვნელოვან ნიშნებად შეფასდეს.

ლევან ხაბეიშვილის საქმე ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მაგალითია, რადგან მის მიმართ თავდაპირველად წარდგენილი ბრალის ფორმულირება მოგვიანებით შეიცვალა. ლევან ხაბეიშვილს პროკურატურა სამართალდამცავებისთვის ქრთამის დაპირებას ედავებოდა იმ განცხადების გამო, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ იგი ფინანსურ ჯილდოს ჰპირდებოდა იმ პოლიციელებს, რომლებიც მოქალაქეთა დარბევაში მონაწილეობაზე უარს იტყოდნენ. მეორე ბრალდება ხელისუფლების ძალადობრივი დამხობისკენ მოწოდებას ეხებოდა. თავის მხრივ, დაცვის მხარე მიუთითებდა, რომ საუბარი არ ყოფილა პირადი ფულით ან ფარული გარიგების ფარგლებში ქრთამის გადაცემაზე და ხაბეიშვილი თანხის სამომავლოდ საბიუჯეტო სახსრებიდან გაცემას გულისხმობდა. ამასთან, განცხადებებში ხელისუფლების „მშვიდობიანი დამხობა“ იყო ნახსენები და არა ძალადობის გამოყენება.

სასამართლო განხილვის დასრულებისას მოსამართლემ ქრთამის დაპირების ბრალდების სამართლებრივი კვალიფიკაცია შეცვალა და ხაბეიშვილი სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლით, საბოტაჟისთვის ცნო დამნაშავედ. მას 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ბრალის სამართლებრივი კვალიფიკაციის შეცვლა თავად სასამართლომ მოახდინა მაშინ, როდესაც პროკურატურა პროცესის განმავლობაში ქრთამის დაპირების ბრალდებას ითხოვდა. ასეთ შემთხვევაში, ხაზგასმას საჭიროებს არა მხოლოდ ახალი კვალიფიკაციის სამართლებრივი საფუძველი, არამედ ისიც, რომ მოსამართლე გასცდა სასამართლო ნეიტრალური არბიტრის როლს და ფაქტობრივად შეითავსა ბრალდების მხარის ფუნქცია.

საქმეში ასევე იკვეთება პოლიტიკური გამოხატვის სისხლისსამართლებრივი შეფასების პრობლემა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით

პოლიტიკური გამოხატვა დაცვის განსაკუთრებით მაღალი ხარისხით სარგებლობს. მართალია, ძალადობისკენ პირდაპირი მოწოდება შესაძლოა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს, მაგრამ ხელისუფლების შეცვლის შესახებ მკვეთრი პოლიტიკური რიტორიკის ძალადობრივ მოწოდებად შეფასება მოითხოვს განცხადების სრული კონტექსტის, გამოყენებული ფორმულირებების, რეალური საფრთხისა და შესაძლო შედეგების დეტალურ დასაბუთებას. ამ ფონზე მნიშვნელოვანი იყო დაცვის არგუმენტიც, რომ ხაბეიშვილი განცხადებებში თავად იყენებდა ფორმულირებას „მშვიდობიანი დამხობა“.

მნიშვნელოვანი საკითხია თუ რა გავლენა აქვს ბრალის გადაკვალიფიცირებას დაცვის უფლებებზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Pélissier and Sassi v. France* განმარტა, რომ ბრალდებულს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია არა მხოლოდ მისთვის შერაცხული ფაქტების, არამედ მათი სამართლებრივი კვალიფიკაციის შესახებ, რაც მისცემს შესაძლებლობას, სწორედ ამ კვალიფიკაციის საწინააღმდეგოდ მოამზადოს დაცვა.⁶ შესაბამისად, თუ სასამართლო პროცესი ქრთამის დაპირებისა და ძალადობრივი მოწოდების ბრალდებების უარყოფაზე იყო აგებული, ხოლო საბოლოო მსჯავრი საბოტაჟის შემადგენლობას დაეფუძნა, შესაძლოა შეიზღუდა ბრალდებულის დაცვის უფლება, რადგან მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, საბოტაჟის ბრალდების წინააღმდეგ სრულყოფილი პოზიცია ჩამოეყალიბებინა.

მურთაზ ზოდელავას შემთხვევაში, ბრალდება უკავშირდებოდა ლევან ხაბეიშვილის მობილური ტელეფონის სხვა პირისთვის გადაცემას. პროკურატურის პოზიციით, ზოდელავა ცდილობდა დაემალა ტელეფონი, რომლის ამოღებაც სასამართლოს განჩინებით იყო გათვალისწინებული. სასამართლომ იგი სსკ-ის 364-ე მუხლით დამნაშავედ ცნო და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა მაშინ, როდესაც მუხლის მაქსიმალური სანქცია ერთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ამასთან, დაცვის მხარე მიუთითებდა, რომ ადგილზე სამართალდამცავებს არ განუმარტავთ, რომ მობილური ტელეფონი ჩხრეკისა და ამოღების საგანს წარმოადგენდა. ეს გარემოება მნიშვნელოვანია დანაშაულის სუბიექტური მხარის შეფასებისას, რადგან პასუხისმგებლობისთვის მხოლოდ ტელეფონის გადაცემა საკმარისი არ არის - უნდა დადასტურდეს, რომ პირს გაცნობიერებული ჰქონდა მიმდინარე საგამოძიებო მოქმედება და მიზანმიმართულად ცდილობდა მისთვის ხელის შეშლას.⁷ ამ პირობებში, გამოძიებისთვის ხელის შეშლის განზრახვის მკაფიო დასაბუთების გარეშე თითქმის მაქსიმალური ვადით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება აჩენს კითხვებს როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაუსაბუთებლობაზე, ისე სასჯელის პროპორციულობაზე.

მტკიცებულებების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები ასევე თვალსაჩინოა **გელა ხასაიასა და ვასილ ქერდიყოშვილის საქმეში**. პროკურატურა მათ 2025 წლის 1 სექტემბერს ჯგუფურად ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას ედავებოდა. თუმცა, საქმის არსებითი განხილვისას გამოიკვეთა, რომ უშუალოდ ძალადობის ამსახველი ვიდეოჩანაწერი არ არსებობდა. პროკურორის განმარტებით,

⁶ European Court of Human Rights, *Pélissier and Sassi v. France* [GC], no. 25444/94, 25 March 1999, §§ 51-54, 62-63

⁷ Publika, „იყო თუ არა ტელეფონის გადაცემა დანაშაული? სასამართლოში ხაბეიშვილი-ზოდელავას მორიგი პროცესი გაიმართა“, 29 იანვარი 2026, <https://publika.ge/iyo-tu-ara-telefonis-gadacema-danashauli-sasamartloshi-khabeishvili-zodelavas-morigi-procesi-gaimarta/>

შემთხვევის ადგილზე კამერები დამონტაჟებული არ ყოფილა, ხოლო საქმეში არსებული ვიდეომასალა მხოლოდ ბრალდებულებისა და დაზარალებულის გადაადგილებას ასახავდა. ბრალდების მტკიცებულებების შეფასებისას მნიშვნელოვანია დაზარალებულის ჩვენებაც, რომელმაც განაცხადა, რომ შემთხვევის დროს ნასვამი იყო და ვერ ამოიცნობდა თავდამსხმელ პირს. მართალია, ორივე ბრალდებულმა პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა და ბრალად წარდგენილი ქმედება აღიარა, მაგრამ ბრალდების მტკიცებულებებში არსებული ხარვეზები აძლიერებს კითხვებს დევნის დასაბუთებულობის თაობაზე. ვინაიდან, გელა ხასაია ოპოზიციური პარტიის წევრი და პროევროპული საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილე იყო, მისი ადვოკატი სისხლისსამართლებრივ დევნას პოლიტიკურ მოტივს უკავშირებდა.⁸

პოლიტიკური კონტექსტისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დროის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა გიორგი გახარიას საქმე. ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და ამჟამად ოპოზიციური პარტიის ლიდერის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა 2019 წელს, მის შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდში განვითარებულ ორ ეპიზოდს ეხება: 20 ივნისის აქციის დარბევასა და სოფელ ჩორჩანასთან პოლიციის საგუშაგოს განთავსებას.

20 ივნისის ეპიზოდში პროკურატურა გახარიას ედავება, რომ შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდში მან განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს სპეციალური საშუალებების ერთობლივად და პარალელურ რეჟიმში გამოყენება კანონით დადგენილი წესების დარღვევით დაავალა, რის შედეგადაც აქციის მონაწილეებმა მძიმე დაზიანებები მიიღეს. ივნისის მოვლენებზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი სადავო აღარ არის, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ საქმეში *Tsaava and Others v. Georgia* დაადგინა კონვენციის მე-3, მე-10 და მე-11 მუხლების დარღვევები და მიუთითა აქციის დაშლისას ძალის არაპროპორციულ გამოყენებაზე, სათანადო გაფრთხილების არარსებობასა და რეზინის ტყვიების გამოყენებასთან დაკავშირებულ სერიოზულ ხარვეზებზე. თუმცა, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება არ ადგენს გიორგი გახარიას ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.⁹ შესაბამისად, ეროვნული სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში დამოუკიდებლად უნდა დადასტურდეს კონკრეტულად მისი მოქმედება, განზრახვა და მიზეზშედეგობრივი კავშირი დამდგარ შედეგებთან. გახარიას ინდივიდუალური ბრალეულობის დასადგენად მხოლოდ აქციის დაშლისას ჩადენილი დარღვევების დადასტურება საკმარისი არ არის და საჭიროა უშუალოდ მის გადაწყვეტილებასა და დამდგარ შედეგებს შორის კავშირის მტკიცებულებებით დადგენა, რაც ადამიანის უფლებათა

⁸ Publika, „ხასაიას პროკურორი: ძალადობის ადგილზე კამერები არ იყო“, 19 თებერვალი 2026, <https://publika.ge/khasaias-prokurori-dzaladobis-adgilze-kamerebi-ar-iyu/>; Publika, „რავი, თქვენ იყავით თუ, არ მახსოვს ასე“ | რა თქვა გელა ხასაიას საქმის დაზარალებულმა“, 4 მაისი 2026, <https://publika.ge/ravi-tqven-iyavit-tu-ar-makhsovs-ase-ra-tqva-gela-khasaias-saqmis-dazaralebulma/>; Publika, „გელა ხასაიას საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა - ის ციხეს სექტემბერში დატოვებს“, 8 მაისი 2026, <https://publika.ge/gela-khasaias-saproceso-shetankhmeba-gauformda-is-cikhes-seqtembershi-datovebs/>; Civil Georgia, „გელა ხასაია „გირჩი – მეტი თავისუფლებიდან“ სისხლის სამართლის ბრალდებით დააკავეს“, 30 სექტემბერი 2025, <https://civil.ge/ka/archives/703217/>

⁹ European Court of Human Rights, *Tsaava and Others v. Georgia* [GC], applications nos. 13186/20, 16757/20, 20129/21, 20175/21 and 39382/21, 11 December 2025, HUDOC.

ცენტრის მიერ მონიტორინგის ფარგლებში გამოკვლეული მტკიცებულებებიდან არ გამოკვეთილა.

ჩორჩანის ეპიზოდში პროკურატურა გახარია სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ედავება. ბრალდების თანახმად, მან 2019 წლის აგვისტოში სოფელ ჩორჩანასთან დამატებითი პოლიციის საგუშაგოს განთავსების გადანყვეტილება სათანადო უწყებათაშორისი კოორდინაციის გარეშე მიიღო, რასაც სახელმწიფოს ინტერესებისთვის ზიანი მოჰყვა. თუმცა, სასამართლო მონიტორინგისას დაკითხული ყოფილი თავდაცვის ძალების მეთაურის ჩვენებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს არ ჰქონდა სამართლებრივი ვალდებულება საგუშაგოს განთავსების შესახებ თავდაცვის სამინისტროსთვის წინასწარ ეცნობებინა. ასევე, მეორე მოწმის ჩვენებით საოკუპაციო ნიშნულები საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე იყო განთავსებული, რაც ოსური მხარის მიერ ტერიტორიის მიტაცების გეგმაზე მიუთითებდა. ამ ფონზე გადამწყვეტია, რამდენად შეუძლია ბრალდების მხარეს დაამტკიცოს არა უბრალოდ ის, რომ გადანყვეტილება სადავო ან არასაკმარისად კოორდინირებული იყო, არამედ ის, რომ გახარიამ განზრახ გადაამეტა მის უფლებამოსილებას.

გახარიას საქმე ხაზგასასმელია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების პერიოდის გამო. 2019 წლის ორივე ეპიზოდთან დაკავშირებით ბრალდებები მას 2025 წლის ნოემბერში წარედგინა, კერძოდ, მას შემდეგ, რაც იგი მმართველ პარტიას ჩამოშორდა და ოპოზიციური პარტიის ლიდერი გახდა. უეთოს მოსკოვის მექანიზმის 2026 წლის ანგარიშში გახარიას საქმე ცალკე არის მოხსენიებული პოლიტიკოსების მიმართ შესაძლო პოლიტიკურად მოტივირებული სისხლისსამართლებრივი დევნის კონტექსტში. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია იმაზეც, რომ ორივე ბრალდება მისი პარტიის მიერ მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობის გადანყვეტილებიდან მალევე იქნა წარდგენილი.¹⁰ შესაბამისად, გახარიას საქმეში კითხვებს აჩენს არა თავად 2019 წლის მოვლენების გამოძიების აუცილებლობა, არამედ ის, რამდენად თანმიმდევრულად, დროულად და მტკიცებულებებზე დაფუძნებით ხდება კონკრეტულად მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენა. წლების განმავლობაში გამოუძიებელი ან დაუსრულებელი საკითხების გააქტიურება მას შემდეგ, რაც ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანი პოლიტიკური ოპონენტი ხდება, შერჩევითი მართლმსაჯულების შეფასებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გარემოებაა.

სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის სიმძიმის თვალსაზრისით კიდევ უფრო მძიმეა **ალეკო ელისაშვილის საქმე**. ოპოზიციონერ პოლიტიკოსს 2025 წლის 29 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის შენობაში შეღწევისა და ხანძრის გაჩენის მცდელობას ედავებოდნენ. თავდაპირველად გამოძიება ქონების დაზიანების ან განადგურების მცდელობის მუხლით დაიწყო, მაგრამ მოგვიანებით ტერორისტული აქტის ჩადენის მცდელობად გადაკვალიფიცირდა. 2026 წლის 10

¹⁰OSCE Moscow Mechanism Rapporteur, Report on developments in Georgia in respect of human rights and fundamental freedoms since Spring 2024, 12 March 2026, § 161, p. 57.; www.osce.org/sites/default/files/documents/official_documents/2026/03/odgal0009c1%20ODIHR%20NV%2082-2026%20report_Moscow%20Mechanism%20invoked%20in%20respect%20of%20Georgia_0.pdf

ივლისს სასამართლომ ელისაშვილი დამნაშავედ ცნო და 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ელისაშვილი თავად ქმედების განხორციელებას არ უარყოფდა, თუმცა არ ეთანხმებოდა მის ტერორისტულ აქტად შეფასებას. დაცვის მხარეც სწორედ კვალიფიკაციას ხდიდა სადავოდ და მიუთითებდა, რომ საქმეში არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც მის ტერორისტულ მიზანს დაადასტურებდა. ეს გარემოება არსებითია, რადგან სსკ-ის 323-ე მუხლის შემადგენლობის მისაჩვენად მხოლოდ ცეცხლის წაკიდება ან მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის შექმნის საფრთხე საკმარისი არ არის. აუცილებელია დადასტურდეს სპეციალური ტერორისტული მიზანიც, მათ შორის, მოსახლეობის დაშინების, ხელისუფლების ორგანოს იძულების ან შესაბამისი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების დესტაბილიზაციის მიზანი. დაცვის მხარის განმარტებით, შემთხვევის ადგილის ვიდეოკამერები გარკვეული დროის განმავლობაში გათიშული იყო, რის გამოც სადავოდ რჩება, რა ხდებოდა ადგილზე ექსპერტების მისვლამდე. ამასთან, ექსპერტმა სასამართლოში განმარტა, რომ საქმეში არსებული ცეცხლსასროლი იარაღი საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი არ ყოფილა. ამ გარემოებების შეფასება ტერორიზმისთვის დამახასიათებელი მიზნისა და ქმედების სიმძიმის დასადგენად მნიშვნელოვანი იყო.

საქმის მთავარი სამართლებრივი პრობლემა სწორედ ქმედებასა და სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციას შორის შესაბამისობის დადგენის ნაკლებობაა. ტერორიზმისთვის მსჯავრდებისას გონივრულ ეჭვს მიღმა უნდა დადასტურდეს ის დამატებითი გარემოებებიც, რომლებიც ამ ქმედებას ჩვეულებრივი ქონებრივი ან ძალადობრივი დანაშაულისგან განასხვავებს, რაც მოცემულ შემთხვევაში საკმარისად ვერ დასაბუთდა.

განხილული საქმეები განსხვავდება როგორც ბრალდების შინაარსით, ისე მტკიცებულებითი საფუძვლებით, მაგრამ საერთო კონტექსტს ქმნის სისხლისსამართლებრივი დევნის გამოყენება მოქმედი ან ყოფილი ოპოზიციური პოლიტიკოსების მიმართ. ცალკეულ საქმეებში ბრალის ფართო სამართლებრივი ინტერპრეტაცია, მტკიცებულებების ხარისხთან დაკავშირებული კითხვები, დევნის დაწყების დრო და პოლიტიკური გარემოებები აძლიერებს შერჩევითი მართლმსაჯულების ნიშნებს. ასეთ საქმეებში სახელმწიფოს ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, სისხლისსამართლებრივი დევნა დაეფუძნოს მკაფიო, თანმიმდევრულ და დამაჯერებელ მტკიცებულებებს და არ წარმოშვას პოლიტიკური მართლმსაჯულების გამოყენების ეჭვი.

III. კრიტიკული გამოხატვის შეზღუდვა საჯარო და ონლაინ სივრცეში

2026 წელს კრიტიკული და საპროტესტო გამოხატვის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენება მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ერთ-ერთ ძირითად მექანიზმად გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი, რომელიც წვრილმან ხულიგნობას არეგულირებს და პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საზოგადოებრივი წესრიგის ან მოქალაქეთა სიმშვიდის რეალურ დარღვევას მოითხოვს. ამასთან, ადმინისტრაციული სანქციები გამოიყენება საჯარო თანამდებობის პირების მიმართ გამოთქმული უხეში ან შეურაცხმყოფელი კრიტიკისთვისაც. პრაქტიკაში აღნიშნული ნორმების გამოყენება ვრცელდება როგორც საპროტესტო სივრცეში გაკეთებულ განცხადებებსა და შეძახილებზე, ისე სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულ კომენტარებსა და პოსტებზე. ასეთი პრაქტიკა აჩენს კითხვებს, რამდენად მკაფიოდ არის გამიჯნული საზოგადოებრივი წესრიგისა და სხვა ლეგიტიმური ინტერესების დაცვა კრიტიკული ან საპროტესტო გამოხატვის შინაარსის გამო პირის დასჯისგან.

- გამოხატვის შეზღუდვა საჯარო სივრცეში

ია მელითაურის საქმე 166-ე მუხლის უშუალოდ საპროტესტო სივრცეში გამოყენების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია. ის ეხება 2026 წლის 26 ივლისს თბილისის საკრებულოს წინ გამართულ საპროტესტო აქციას, სადაც მონაწილეებს ეჭირათ საპროტესტო ბანერები და ისმოდა სხვადასხვა შეძახილი. შსს-ს პოზიციით, პოლიციამ აქციის მონაწილეებს უცენზურო შეძახილების შეწყვეტისკენ მოუწოდა, ხოლო ია მელითაური მოთხოვნას არ დაემორჩილა, რის შემდეგაც იგი ადმინისტრაციული წესით დააკავეს. საქმის სასამართლო განხილვისას დაცვის მხარე მიუთითებდა, რომ სადავო ბანერები და შეძახილები საპროტესტო კონტექსტში გაკეთებულ გამოხატვას წარმოადგენდა და საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით იყო დაცული. სასამართლომ ია მელითაურთან მიმართებაში 173-ე მუხლით წარმოება შეწყვიტა, ხოლო 166-ე მუხლით ის სამართალდამრღვევად ცნო და ხუთდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

საქმე განსაკუთრებით საყურადღებოა იმის გამო, რომ ყველაზე მკაცრი ადმინისტრაციული სანქცია - თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა პირს არაძალადობრივი საპროტესტო გამოხატვის გამო მაშინ, როდესაც პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ნაწილში სასამართლომ თავად შეწყვიტა საქმის წარმოება. ასეთ პირობებში სასამართლოსგან განსაკუთრებით მკაფიო

დასაბუთება იყო საჭირო, კონკრეტულად როგორ დაარღვია მელითაურის გამოხატვამ საზოგადოებრივი წესრიგი და რატომ ვერ უზრუნველყოფდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას ნაკლებად მკაცრი სანქცია.

მსგავსი შედეგი დადგა **თორნიკე ტიკარიძის საქმეშიც**. საქმე უკავშირდება 2026 წლის 26 ივლისს თბილისის საკრებულოსთან გამართულ საპროტესტო აქციას, რომლის მონაწილეების ნაწილიც პოლიციამ 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე დააკავა. ტიკარიძე სასამართლოს მიმართ უნდობლობას გამოხატავდა და სხდომებში მონაწილეობაზე უარს ამბობდა. სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნულმა ადვოკატმა სხდომის გადადება მოითხოვა იმ საფუძველით, რომ ტიკარიძესთან დაკავშირება ვერ შეძლო, მაგრამ სასამართლომ შეამდგომლობა არ დააკმაყოფილა და თორნიკე ტიკარიძეს 166-ე მუხლით ხუთდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა, ხოლო 173-ე მუხლით წარმოება შეწყვიტა. ამ კონტექსტში, სასამართლოს მიერ თავისუფლების აღკვეთის შეფარდება კითხვებს აჩენს პირის დაცვის უფლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებითაც.

- გამოხატვის შეზღუდვა ონლაინ სივრცეში

ბოლო პერიოდში 166-ე მუხლის გაფართოებული გამოყენება არა მხოლოდ საჯარო, არამედ ციფრულ სივრცეზეც გავრცელდა. ამ კატეგორიის საქმეებში დამატებით ჩნდება ორი ძირითადი პრობლემა: რამდენად დგინდება კონკრეტული სოციალური ქსელის ანგარიშის რეალურ პირთან კავშირი და საერთოდ როგორ დასტურდება ონლაინ კომენტარით საზოგადოებრივი წესრიგის ან მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევა.

მაგალითად, **გიორგი მელითაურის საქმე** უკავშირდება 2026 წლის 6 ივნისს სოციალურ ქსელში მისი ნაცნობის მიმართ გაკეთებულ შეურაცხმყოფელ კომენტარს. შსს-ს მტკიცებით, კომენტარი წვრილმანი ხულიგნობის შემადგენლობას ქმნიდა, ხოლო ამის დასტურად წარდგენილი ჰქონდა კომენტარის სქრინშოტი და სოციალური ქსელის გვერდის ე.წ. „სქროლვის“ ვიდეოჩანაწერი. დაცვის მხარემ სადავოდ გახადა ავტორის იდენტიფიცირება და სასამართლოს წარუდგინა ვიდეო, რომლითაც აჩვენებდა, რამდენად მარტივად არის შესაძლებელი სხვა პირის სახელით კომენტარის იმიტირება. ამასთან, დაცვამ მოითხოვა თავად ადრესატის მოწმედ დაკითხვა, მაგრამ სასამართლომ აღნიშნული შეამდგომლობა არ დააკმაყოფილა. 2026 წლის 3 ივლისს გიორგი მელითაური სასამართლომ 166-ე მუხლით სამართალდამრღვევად ცნო და 2 000 ლარის ჯარიმა დააკისრა.

სადავოა, რამდენად შეიძლება მხოლოდ სქრინშოტი და ანგარიშის ვიზუალური დათვალიერება საკმარის მტკიცებულებად ჩაითვალოს იმის დასადგენად, რომ კონკრეტული ანგარიში ან კომენტარი ნამდვილად იმ პირს ეკუთვნის, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრება. მითუმეტეს, როდესაც ადმინისტრაციულ სანქციას შესაძლოა მნიშვნელოვანი ფინანსური ტვირთი ან, ზოგიერთ შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთაც მოჰყვეს, პირის იდენტიფიცირება უნდა ეფუძნებოდეს სანდო და საკმარის მტკიცებულებებს და არა მხოლოდ ანგარიშის სახელზე ან ვარაუდზე დაყრდნობილ დასკვნას.

იგივე საკითხი გამოიკვეთა **გიორგი გოგიას საქმეშიც**, რომელიც 2026 წლის 14 ივნისს სოციალურ ქსელში ბერა ივანიშვილის მისამართით გამოქვეყნებულ პოსტს უკავშირდება. გარდა ზემოაღნიშნულისა, ასეთი ტიპის საქმეებში მნიშვნელოვანია თავად 166-ე მუხლის შემადგენლობისთვის აუცილებელი ელემენტის - სამოგადოებრივი წესრიგის ან მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევის გამოკვლევა. თუმცა, პროცესზე დაცვის შეკითხვაზე, რამდენ ადამიანს ჰქონდა პოსტი ნანახი ან მასზე რეაგირება გაკეთებული, შსს-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მნიშვნელობა არა აქვს, პოსტი რამდენმა ადამიანმა ნახა ან საერთოდ ნახა თუ არა ვინმემ. მეტიც, სასამართლომ გიორგი გოგიას 3 000 ლარის ჯარიმა დააკისრა.

ამ კონტექსტში საყურადღებოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2026 წლის გადაწყვეტილება *Miladze v. Georgia*. მართალია, სასამართლომ საქმეში 166-ე მუხლით დაკისრებული პასუხისმგებლობა კონვენციის მე-10 მუხლთან თავსებადად მიიჩნია, მაგრამ გადაწყვეტილება დაეფუძნა საქმის სპეციფიკურ გარემოებებს, მათ შორის, ვიდეოს მასობრივ გავრცელებას, 100 000-ზე მეტ ნახვას, უკიდურესად შეურაცხყოფელ პერსონალურ გამოხატვას და შედარებით მსუბუქ სანქციას.¹¹ შესაბამისად, ეს გადაწყვეტილება აჩვენებს, რომ პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საჭიროა სწორედ გამოხატვის კონტექსტის, გავრცელების მასშტაბის, რეალური ზემოქმედებისა და სანქციის პროპორციულობის ინდივიდუალური შეფასება.

ონლაინ კრიტიკული გამოხატვის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენების კიდევ ერთი მაგალითია **ადვოკატ შოთა თუთბერიძის** საქმე, რომელსაც ნინო წილოსანის Facebook პოსტზე დატოვებული კომენტარის გამო 4 000 ლარის ჯარიმა დაეკისრა. განსხვავებით ზემოთ განხილული საქმეებისგან, მის მიმართ პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173¹⁶ მუხლით დადგა, რომელიც პოლიტიკური თანამდებობის პირის, სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის სიტყვიერ შეურაცხყოფასა და სხვა შეურაცხყოფელ ქმედებას ითვალისწინებს. ხაზგასასმელია ისიც, რომ წარმოება სოციალური ქსელების სახელმწიფო მონიტორინგის შედეგად დაიწყო და არა უშუალოდ ადრესატის მიმართვის საფუძველზე.¹² როდესაც სახელმწიფო თავად აკვირდება სოციალურ ქსელებში კრიტიკულ გამონათქვამებს და მათ საფუძველზე იწყებს ადმინისტრაციულ წარმოებებს, იზრდება შერჩევითი აღსრულების, თვითცენზურისა და მსუსხავი ეფექტის საფრთხე.

ამავე მუხლის გამოყენების მაგალითია **ნატა ფერაძის** საქმე. 2026 წლის 4 თებერვალს სასამართლომ მას ნინო წილოსანის შესახებ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული პოსტის გამო 4 000 ლარის ჯარიმა დააკისრა. მოგვიანებით კი, ბერა ივანიშვილის მიმართ Facebook-ზე გაკეთებული კომენტარის გამო, ფერაძეს უკვე 166-ე მუხლით 3 000 ლარის ჯარიმა დაეკისრა.¹³ გადაწყვეტილების გამოცხადებისას

¹¹ European Court of Human Rights, *Miladze v. Georgia*, no. 41585/23, 19 May 2026, §§ 68, 70, 75.

¹² რადიო თავისუფლება, „ნინო წილოსანის პოსტზე კომენტარისთვის ადვოკატი შოთა თუთბერიძე 4 ათასი ლარით დააჯარიმეს“, 15 ივნისი 2026, www.radiotavisupleba.ge/amp/33781496.html

¹³ Tabula, „სასამართლომ ნატა ფერაძე ნინო წილოსანზე დაწერილი პოსტის გამო 4 000 ლარით დააჯარიმა“, 4 თებერვალი 2026, www.tabula.ge/ge/news/745204-sasamartlom-nata-peradze-nino-cilosanze-dacerili; რადიო თავისუფლება, „ემიგრაციაში მყოფი ნატა ფერაძე ბერა ივანიშვილზე ფეისბუქსტატუსის გამო დააჯარიმეს“, 30 ივნისი 2026, www.radiotavisupleba.ge/a/33791918.html

სასამართლომ დამატებით მიუთითა ფერაძის მიერ უხამსი გამონათქვამების გამოყენებისადმი მიდრეკილებაზე, მათ შორის, თავად მოსამართლის მიმართაც. ერთი და იმავე პირის ონლაინ გამოხატვისთვის სხვადასხვა ადმინისტრაციული ნორმის გამოყენება კიდევ უფრო აძლიერებს კითხვებს, რამდენად თანმიმდევრულად და პროპორციულად გამოიყენება სამართლებრივი პასუხისმგებლობა კრიტიკული გამოხატვის მიმართ.

ასევე, აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირების მიმართ გამოთქმული კრიტიკის შეფასებისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პოლიტიკოსებსა და სხვა საჯარო თანამდებობის პირებს, მეტი თმენის ვალდებულება აქვთ. შესაბამისად, პოლიტიკური თანამდებობის პირების მიმართ კრიტიკული გამოხატვისთვის მაღალი ჯარიმებისა და სხვა მკაცრი სანქციების გამოყენება განსაკუთრებით პრობლემურია და აჩენს კითხვებს, ხომ არ გამოიყენება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მხოლოდ კრიტიკული აზრის შეზღუდვის საშუალებად.

ამ საქმეთა ერთობლიობა აჩვენებს, რომ კრიტიკული და საპროტესტო გამოხატვის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენება პრაქტიკაში სხვადასხვა სამართლებრივი ნორმის საფუძველზე ხდება. როდესაც პასუხისმგებლობა დგება გამოხატვის კონტექსტის, რეალური ზემოქმედებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის სათანადო შეფასების გარეშე, ხოლო სანქციები მოიცავს მაღალ ჯარიმებსა და ადმინისტრაციულ პატიმრობას, ასეთი პრაქტიკა ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას და მოქალაქეებში კრიტიკული აზრის გამოხატვისგან თავის შეკავების მსუსხავ ეფექტს ქმნის.

IV. სასამართლო მონიტორინგით გამოვლენილი სისტემური პრობლემები და შერჩევითი მართლმსაჯულების ნიშნები

განხილული საქმეები ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც ფაქტობრივი გარემოებებით, ისე სამართლებრივი საფუძვლებით. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგი რამდენიმე განმეორებად პრობლემას ავლენს, რომელიც ცალკეული საქმეების ფარგლებს სცდება და სასამართლო პრაქტიკაში უფრო ფართო ტენდენციებზე მიუთითებს.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სასამართლოს მხრიდან **სახელმწიფო ორგანოების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების არასაკმარისად კრიტიკული შეფასებაა**. მაგალითად, პასუხისმგებლობის დასადგენად სასამართლო პროცესებზე საკმარისი იყო პირის რამდენიმე წუთით ვიდეოკადრში დაფიქსირება, ან სოციალურ ქსელში კომენტარის სკრინშოტის ჩვენება მაშინ, როდესაც პირის განმზახვა, ავტორობა ან კონკრეტულ ქმედებასთან კავშირი დამატებით დასაბუთებას საჭიროებდა. ამავე დროს, ყოველთვის სათანადოდ არ ხდებოდა დაცვის მიერ წარმოდგენილი ალტერნატიული ვერსიისა და საწინააღმდეგო მტკიცებულებების გამოკვლევა. რეალურად კი, პასუხისმგებლობის სამართლიანად დასადგენად აუცილებელია დაცვის არგუმენტების მკაფიო და დასაბუთებული ანალიზი.

პროცესების მონიტორინგმა გამოავლინა **დაცვის უფლების პრაქტიკული შეზღუდვის შემთხვევებიც**. კერძოდ, ადვოკატისთვის მოწმის დასაკითხად უკიდურესად შეზღუდული დროის განსაზღვრა, საქმის განხილვის გაგრძელება მაშინ, როდესაც დანიშნულ ადვოკატს კლიენტთან კომუნიკაციის შესაძლებლობა არ ჰქონია და სხვა. ამასთან, იყო შემთხვევა, როცა სასამართლომ პირის შპმ სტატუსის საფუძველზე მისი ქმედუნარიანობა დააყენა ეჭვქვეშ მაშინ, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის არსებობა თავისთავად არ შეიძლება გახდეს პირის მიერ საკუთარი ქმედების გააზრების უნარის ეჭვქვეშ დაყენების საფუძველი. ასეთი მიდგომა ქმნის შპმ პირის მიმართ სტერეოტიპული მოპყრობის რისკს და ეწინააღმდეგება გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით აღიარებულ თანასწორი სამართალსუბიექტობის პრინციპს, რომლის მიხედვითაც შპმ პირები თანასწორად სარგებლობენ სამართლებრივი ქმედუნარიანობით.

საერთო პრობლემა იკვეთება **გამოყენებული სანქციების სიმკაცრისა და პროპორციულობის თვალსაზრისითაც**. მშვიდობიან პროტესტთან და არაძალადობრივ გამოხატვასთან დაკავშირებულ საქმეებში გამოიყენებოდა როგორც

მაღალი ფულადი ჯარიმები, ისე ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პატიმრობა. თავისუფლების აღკვეთა ადამიანის უფლებაში ჩარევის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფორმაა და მისი გამოყენება მოითხოვს მკაფიო დასაბუთებას თუ რატომ იყო კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელი სწორედ ასეთი სანქცია და რატომ ვერ უზრუნველყოფდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას ნაკლებად მკაცრი ღონისძიება.

აღნიშნული გარემოებების ერთობლიობა **შერჩევითი მართლმსაჯულების ნიშნებსაც აჩენს**. დევნის დაწყების დრო, პოლიტიკური კონტექსტი, სამართლებრივი ნორმების ფართო ან არათანმიმდევრული გამოყენება, მტკიცებულებების მიმართ განსხვავებული მოთხოვნები და სახელმწიფო ორგანოების მოქმედებებზე სასამართლოს არასაკმარისი კონტროლი შერჩევითი მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი ინდიკატორებია. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ის შემთხვევებიც, როდესაც სახელმწიფო ორგანო თავად ახორციელებს კრიტიკული გამოხატვის პროაქტიულ მონიტორინგს და თავად წყვეტს, რომელ შემთხვევაში დაიწყოს სამართლებრივი წარმოება.

მშვიდობიან პროტესტში მონაწილეობა, საჯარო შეძახილი ან ონლაინ კომენტარი მკაცრი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი როცა ხდება, **სანქციების ერთობლივი ეფექტი მოქალაქეებს კრიტიკული აზრის გამოხატვისა და პროტესტში მონაწილეობისგან თავის შეკავებისკენ უბიძგებს**. სწორედ ეს ქმნის მსუსხავ ეფექტს, რომელიც ინდივიდუალური საქმის ფარგლებს სცდება და მთლიანად საზოგადოებაში გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების განხორციელებას ზღუდავს.

დასკვნა და რეკომენდაციები

გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების შემზღუდველი კანონმდებლობა აქტიურად გამოიყენება საქართველოს სამართლებრივ პრაქტიკაში. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს მშვიდობიანი საპროტესტო ქმედებების სისხლისსამართლებრივ სფეროში გადატანა, კრიტიკული გამოხატვისთვის მკაცრი ადმინისტრაციული სანქციების გამოყენება, პოლიტიკური ოპონენტებისა და აქტივისტების სისხლისსამართლებრივი დევნა და ფართო სამართლებრივი ინტერპრეტაციების გამოყენება.

სასამართლო მონიტორინგით გამოვლენილი მტკიცებულებითი და საპროცესო პრობლემები აჩვენებს, რომ შემზღუდველი კანონმდებლობის პირობებში სასამართლო კონტროლს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ხოლო როდესაც სასამართლო სათანადოდ არ ამოწმებს ბრალდების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, არ აფასებს დაცვის ალტერნატიულ ვერსიებს და არ ასაბუთებს მკაცრი სანქციის აუცილებლობას, იზრდება უფლებებში თვითნებური ჩარევისა და შერჩევითი მართლმსაჯულების საფრთხეები.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს პარტია „ქართულ ოცნებას“:

- გააუქმოს ან არსებითად გადახედოს საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც არაძალადობრივი საპროტესტო ქმედებების განმეორებას სისხლისსამართლებრივ დანაშაულად აქცევს და გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების განხორციელებისთვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას აფართოებს;
- უზრუნველყოს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასა და ეუთო/ODIHR-ის სტანდარტებთან;
- შეწყვიტოს მშვიდობიანი პროტესტისა და კრიტიკული გამოხატვის მიმართ ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი მექანიზმების სადამსჯელო და შერჩევითი გამოყენება;
- უზრუნველყოს, რომ მშვიდობიანი შეკრების დროს გზის ან სხვა საჯარო სივრცის დროებითი გამოყენება ავტომატურად არ გახდეს მკაცრი ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი და თითოეულ შემთხვევაში შეფასდეს პირის ინდივიდუალური ქმედება, განზრახვა და გამოწვეული შეფერხების რეალური მასშტაბი;

➤ უზრუნველყოს პოლიტიკური და კრიტიკული გამოხატვის დაცვის მაღალი სტანდარტი და მკაფიოდ გაიმიჯნოს მკვეთრი ან უხეში პოლიტიკური რიტორიკა ძალადობის პირდაპირი წაქეზებისგან;

➤ შეწყვიტოს ონლაინ სივრცეში კრიტიკული გამონათქვამების შერჩევითი მონიტორინგისა და დასჯის პრაქტიკა და უზრუნველყოს, რომ პასუხისმგებლობა არ ეფუძნებოდეს მხოლოდ სოციალური ქსელის პროფილის ავტორობის შესახებ დაუსაბუთებელ ვარაუდს;

➤ უზრუნველყოს გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საქმეებში კონტექსტის, გავრცელების მასშტაბის, ადრესატის სტატუსის, რეალური ზემოქმედებისა და გამოყენებული სანქციის პროპორციულობის სათანადო შეფასება;

➤ შეწყვიტოს მართლმსაჯულების განხორციელებაზე პოლიტიკური გავლენა და უზრუნველყოს პირობები დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო კონტროლისთვის, მათ შორის პოლიტიკური ოპონენტების საქმეებში;

➤ უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლოსა და ეფექტიანი დაცვის უფლების რეალური განხორციელება, მათ შორის დაცვის მხარისთვის მტკიცებულებების წარმოდგენის, მოწმეების სრულყოფილად დაკითხვის, ადვოკატთან კომუნიკაციისა და საკუთარი პოზიციის მოსამზადებლად სათანადო შესაძლებლობის მიცემა;

➤ უზრუნველყოს, რომ თავისუფლების აღკვეთა გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებულ საქმეებში გამოყენებულ იქნეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი აუცილებლობა და პროპორციულობა სათანადოდ არის დასაბუთებული;

➤ შეწყვიტოს შშმ პირების მიმართ სტერეოტიპულ ვარაუდებზე დაფუძნებული მიდგომები და უზრუნველყოს ამ პირთა თანასწორი მონაწილეობა სამართლებრივ პროცესებში;

➤ უზრუნველყოს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ სრულყოფილი და საჯაროდ ხელმისაწვდომი სტატისტიკის წარმოება.